საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრაციაზეა
პრეზიდენტის აპარატის,
ადმინისტრაციის განყოფილებაში
„14" 04 22 № 90/30

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 90/30

ქ. თბილისი
14 აპრილი, 2022 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით,
მისამართი: სანაპიროს ქ. 2, თბილისი 0114, საქართველო,
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: შპს ,,ერა'', მისი დირექტორის დავით ბერაძის სახით,
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ., №77 ტელ: +995 595 452 002;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404927399;
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი'', ანგარიშის №GE37BG0000000284389400.

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სებ-ის პრეზიდენტის აპარატისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტისათვის, მუყაოს სწრაფჩამკერების (საქაღალდე) (CPV კოდი:22852000) (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა.

1.2. საქონლის აღწერილობა და განფასება:

№	საქონლის აღწერილობა	განზომილება (ცალი)	ერთეულის (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მუყაოს სწრაფჩამკერი (საქაღალდე, მეტალის მექანიზმით)	900	0.32	288.00
	სულ:			**288.00**

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და/ან ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე, (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) ერთიანად არაუგვიანეს **2022 წლის 26 აპრილისა.**

3.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. საქონლის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. მიწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.6. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **288.00 (ორას ოთხმოცდარვა) ლარს** („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული საქონელი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილება შეადგენს 30 დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში ვალდებულებების სრულად შესრულებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ვახტანგ ბურკიაშვილი _____	**დავით ბერაძე** _____
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	შპს ''ერა'-ს' დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

N 3-16/1374
14/04/2022

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მათი მონაწილეობა სებ-ის პრეზიდენტის აპარატისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტისათვის 900 ცალი მუყაოს სწრაფჩამკერის (საქაღალდე) შესყიდვის პროცესში (მიმწოდებელი შპს ,,ერა“) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვახტანგი ბურკიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
საქართველოს ეროვნული ბანკი

ქეთევან ახალკაცი

პრეზიდენტის აპარატის უფროსი
პრეზიდენტის აპარატი

ლევან ძნელაძე

დეპარტამენტის უფროსი
საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი

ბაკურ არზიანი

მე-2 თანრიგის მთავარი სპეციალისტი
ლოჯისტიკის განყოფილება

გიზო ღულაძე

მე-2 თანრიგის წამყვანი სპეციალისტი
ლოჯისტიკის განყოფილება

თორნიკე ეზანოიძე

დეპარტამენტის უფროსი
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

დამოწმებულია
კვალიფიციური
ელექტრონული შტამპით

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia